პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 ივნისი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 125 (9536) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საბჭოთა ახალგაზრდობის დღეს მიეძღვნა

გასულ შაბათს და კვირას მოეწყო საბჭოთა ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილი მასობრივი შეჯიბრებები. პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ 27 ივნისს დიღმის ტყე-პარკში, 28 ივნისს კი თბილისის ზღვის მიდამოებში ჩაატარა მასობრივი გარბენები. ეს ხალხმრავალი შეჯიბრებები საუცხოოდ იყო ორგანიზებული.

შაბათ საღამოს კვლავ დიდი საჭადრაკო ფესტივალი მოეწყო რესპუბლიკის მოედანზე, სადაც ჩატარდა ერთდროული თამაშის სეანსი ასობით დაფაზე. ღონისძიების თაოსნები არიან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის სპორტსახკომი. ჭადრაკის გულშემატკივრებმა გვიანობამდე გააგრძელეს პაექრობა ჩვენ სახელოვან დიდოსტატებთან და ოსტატებთან.

შაბათ საღამოს კვლავ დიდი საჭადრაკო ფესტივალი მოეწყო რესპუბლიკის მოედანზე, სადაც ჩატარდა ერთდროული თამაშის სეანსი ასობით დაფაზე. ღონისძიების თაოსნები არიან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის სპორტსახკომი. ჭადრაკის გულშემატკივრებმა გვიანობამდე გააგრძელეს პაექრობა ჩვენ სახელოვან დიდოსტატებთან და ოსტატებთან.

ამჯერად განსაკუთრებული საზეიმო განწყობილება სუფევდა რიყის ტერიტორიაზე. შაბათს და კვირას თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა ორიგინალური და მრავალფეროვანი საასპარეზო და გასართობი პროგრამა შესთავაზა დედაქალაქელებს და სტუმრებს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

მაია ჩიბურდანიძის ახალი დიდი წარმატება

„ჭადრაკის ისტორიაში დღემდე არც ერთ ქალს არ მიუღწევია ასეთი შედეგისთვის“, — წერს ესპანური გაზეთი „პაისი“. დიახ, მაია ჩიბურდანიძის ახალი წარმატება მართლაც შთამბეჭდავია.

III ადგილის მოპოვება ისეთი ძლიერი შემადგენლობის შეჯიბრებაში, როგორიც ბილბაოს ტურნირი იყო, ერთგვარი გმირობაა ქალისთვის, თუნდაც მსოფლიოს ჩემპიონისთვის. მან ხომ უკან ჩამოიტოვა ისეთი აღიარებული მოჭადრაკეები, როგორიც არიან საერთაშორისო დიდოსტატები ანდრეი სოკოლოვი, ლიუბომირ ლიუბოევიჩი და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატი ქალი უნგრელი ჟუჟა პოლგარი, რომელიც, როგორც ცნობილია, ქალებთან თამაშს არ კადრულობს და მხოლოდ ვაჟთა ტურნირებში გამოდის.

მაია ჩიბურდანიძემ დაუმარცხებლად განვლო ტურნირი, კიდევ ერთხელ შეასრულა დიდოსტატის ნორმა ვაჟებში და 9 შესაძლებლიდან 5,5 ქულა მოაგროვა. ბოლოსწინა ტურში, როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიო ჩემპიონმა რთულ პოზიციაში გადადო პარტია ანატოლი კარპოვთან. მეორე დღეს ეს პარტია ყაიმით დამთავრდა. იგი ბოლო ტურშიც დაუზავდა მეტოქეს და წინ მხოლოდ კარპოვი (7 ქულა) და შვედი დიდოსტატი ულფ ანდერსონი (6,5) გაუშვა.

ვულოცავთ მაიას ახალ დიდ გამარჯვებას!

თბილისელი ჩოგბურთელი მეორე ადგილზე

მოსკოვში დამთავრდა „სპარტაკის“ ჩოგბურთელთა ტურნირი სახტელერადიოს პრიზზე. ვაჟთა შორის ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება თბილისელმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ და რიგელმა გირტს ძელდემ მოიპოვეს, რომლებმაც მანამდე ყველა მეტოქე დაამარცხეს.

პირველი პარტია საკმაოდ მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. ძელდემ იგი მოიგო ანგარიშით 6:4. მეორეში თბილისელმა ჩოგბურთელმა ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია მეტოქეს დ. პშრალი ანგარიშით 0:6 დამარცხდ...

ქალთა ფინალში მოსკოველი ვიქტორია მილვიდსკაია და ერევნელი ლარისა ოვსეპიანი თამაშობდნენ. პრიზი მოსკოველ ჩოგბურთელს ერგო — 6:4, 6:4.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის — გარდამავალი წითელი დროშა

ალიარება მეტს ავალებთ

ბორჯომის ტურბაზის (დირექტორი დ. ბასილაია, პარტორგანიზაციის მდივანი ბ. მჭედლიძე) შრომითმა კოლექტივმა სახსარულო ცნობა მიიღო. გასული წლის შედეგების მიხედვით ბორჯომის ტურბაზა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

ტურბაზის შრომითმა კოლექტივმა საჩივრებისა და შენიშვნების გარეშე შეძლო შარშანდელი სეზონის დამთავრება. გეგმიურმა მოგებამ 441,3 ათასის ნაცვლად 515,4 ათასი მანეთი შეადგინა. წმინდა შემოსავალმა 35,5 ათას მანეთს გადააჭარბა.

ტურისტთა სანიმუშო მომსახურებამ, კულტურულ-სპორტულმა და აქტიური დასვენებისათვის შექმნილმა პირობებმა ბევრი სამადლობელი სიტყვა დააწერინა დამსვენებლებს.

ტურბაზის კოლექტივმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ მომზადებული შეხვედროდა ზაფხულის სეზონს. ტურბაზამ შეიძინა რამდენიმე ათეული ავტომისაბმელი ბინა, სპორტული მოედნები კეთილმოეწყო, გარემონტდა საძილე კორპუსები, სასადილო, მიმდინარეობს საცურაო აუზის და კაფე-ბარის მშენებლობა და სხვა.

ბორჯომის ტურბაზის მშრომელთა კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს მოწინავე პოზიცია არ დათმოს, მნიშვნელოვნად აამაღლოს ტურისტთა მომსახურების დონე და თავისი წვლილი შეიტანოს მშრომელთა აქტიური დასვენების საქმეში.

თ. ხუხუნაიშვილი.

პრაღა. დამთავრდა ევროპის თასი მძლეოსნობაში. ვაჟთა შორის გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს, რომლებმაც 2,5 ქულით აჯობეს მთავარ კონკურენტს გდრ-ის მძლეოსნებს, დააგროვეს 117 ქულა და პირველი ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილზე დიდი ბრიტანეთის გუნდი გავიდა — 99 ქულა. ქალთა შეჯიბრებაში გდრ-ის მძლეოსანთა უპირატესობა აშკარა იყო — 119 ქულა. სსრ კავშირის ნაკრები გამარჯვებულს 27 ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილი ბულგარელ სპორტსმენებს ხვდათ — 86 ქულა.

ვროცლავი. აკრობატთა მსოფლიო ჩემპიონატში ყველა საპრიზო ადგილი ბულგარეთის, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სპორტსმენებმა გაინაწილეს. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენები ხტომებში. ქალთა შორის ოქროს მედალი სტავროპოლელმა ელენა ბუგაევამ დაისაკუთრა — 29,45 ქულა. ვაჟებში პირველი ადგილი ორმა სპორტსმენმა, იაროსლავლელმა ევგენი ივანოვმა და კრასნოდარელმა სერგეი პოგიბამ გაიყვეს — 29,50 ქულა თითოეულს.

სევილია. ესპანეთის ამ ქალაქის სახელობის პრიზი წყალბურთში იუგოსლავიის ნაკრებმა მოიგო — 12 ქულა. საბჭოთა გუნდი მეორე ადგილზე გავიდა. იგი ჯერ იუგოსლავიასთან დამარცხდა — 8:11, შემდეგ კი ფრედ დაამთავრა შეხვედრა კუბის წყალბურთელებთან — 10:10.

სტიპლჩეიზის დიდი პრიზი — ზაზა გონჯილაშვილს

თბილისი იპოდრომზე გასულ კვირას კვლავ საინტერესოდ ჩაიარა სტიპლჩეიზმა. გათამაშდა დიდი პრიზი, რომლისთვისაც ცხრა მხედარი იბრძოდა. ეს სარეკორდო რაოდენობაა დღემდე ჩატარებული ამგვარი შეჯიბრებისათვის. ურთულესი ტრასა მხოლოდ ასპარეზობის ოთხმა მონაწილემ დაამთავრა. ფინიშთან პირველი მიიჭრა საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური საცხენოსნო სკოლის მხედარი ზაზა გონჯილაშვილი. მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად გაგრელმა მხედრებმა იგორ ბარციცმა და ბესლან ტარბამ დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ ზ. გონჯილაშვილმა მეორედ მოიგო ეს რთული შეჯიბრება.

მიუხედავად შეტყობინებისა, ასპარეზობაზე მხედრები არ გამოგზავნეს გალის, ოჩამჩირისა და ზუგდიდის საცხენოსნო კლუბებმა. თბილისის საცხენოსნო ბაზისგან კი მეტ ყურადღებას მოველოდით.

• • •

სურათზე: სტიპლჩეიზის დიდი პრიზის მფლობელი ზაზა გონჯილაშვილი.

ორი მატჩი უნგრეთში

უნგრეთიდან შინ დაბრუნდნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, რომლებმაც ამ ქვეყანაში ორი ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა გამართეს.

„დინამომ“ ანგარიშით 2:0 დაამარცხა „ჩეპელი“ და 1:0 — „ვაშაში“.

თავი ისახელეს

კვირას კიშინიოვში დამთავრდა 1969-70 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. ქვეყნის ნაკრების მწვრთნელები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს შეჯიბრებას — მათ ჭაბუკთა ევროპის პირველობისათვის ნაკრები გუნდის კანდიდატები უნდა შეერჩიათ.

ქართველ სპორტსმენთაგან თავი ისახელეს საგარეჯოელმა თამაზ ყაზარაშვილმა (58 კგ; „შრომითი რეზერვები“), ქუთაისელმა გოგიტა კოღუაშვილმა (88 კგ; „დინამო“) და თბილისელმა ნაიბ დვალიძემ (97 კგ; „შრომითი რეზერვები“). მათ პირველი ადგილი დაიკავეს. პროფკავშირების წარმომადგენლები სამტრედიელი აკაკი ჩაჩუა (58 კგ), თბილისელი რამაზ გადაბაძე (88 კგ) და რუსთაველი დავით კუპრაძე (+97 კგ) მესამე ადგილზე გავიდნენ.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე ითქვა: „...სუსტად წარმოებს მუშაობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. უაღრესად ცუდად ვიყენებთ არსებულ სპორტულ ბაზებსა და ნაგებობებს“.

შესაძლებლობები ყველგან არის, მთავარია მოზღვავება!

შევიტანოთ სპორტი ეზოებში

ჩვენი გამოსვლის კვალდაკვალ

კვირას ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი სათაურით „გულარხეინი ხალხი“. პუბლიკაციაში მხილებული იყო მობინადრეებისადმი თბილისის პირველი მაისის რაიონის 27-ე სახლმმართველობის უყურადღებობა. წერეთლის № 41-ის ეზოში შესადირექტორის მოადგილემ ომარ ბაბუნაშვილმა.

— რამდენ ჩოგბურთის მაგიდას აქირავებთ?

— ათს.

— შეგიძლიათ თუ არა ერთი მაგიდა თქვენთან ახლოს, წერეთლის № 41-ის ეზოში დადგათ?

ა. წერეთლის გამზირი № 41, რომლის ეზო დღეს ასე გამოიყურება.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ნიშნავი პირობებია საიმისოდ, რომ აქ მცხოვრებლებმა, განსაკუთრებით ბავშვებმა, აქტიურად დაისვენონ, მაგრამ 7 წელია სახლმმართველობამ ეზოს ჩოგბურთის მაგიდა არ შეუძინა, არც კალათბურთის მოედანი შეაკეთა. და მოსახლეობას არ დაეხმარა ეზოს კეთილმოწყობაში.

გაზეთი მხოლოდ ამ ფაქტის სამსჯავროზე გამოტანით როდი დაკმაყოფილდა. რედაქციაში დაბრუნებისთანავე ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის დირექციაში დავრეკეთ.

ტელეფონის ყურმილი აიღო

— თუ საჭიროა, ორსაც დავდგამთ.

— შევთანხმდით.

კვირას, დილის 9 საათიდან, ჩოგბურთის ორი მაგიდა უკვე ეზოში იდგა. პარკის წარმომადგენელი სოსო არაბიძე მთელ დღეს უმასპინძლდებოდა ჩოგბურთის მოყვარულებს.

მაშ ასე, კულტურისა და დასვენების პარკის სპორტული ინვენტარის გამქირაველი პუნქტი თავად ეწვია მოსახლეობას, მისი მეშვეობით კი სპორტი ეზოში შევიდა.

კვირას, დილაადრიან, ეზო ისედაც უჩვეულოდ გამოცოცხლდა. ყველაფერი მოაწესრიგეს. 12 საათისთვის იქაურობა სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა.

— დღეს ყველაფერი კარგად არის, მაგრამ საერთოდ როგორი მდგომარეობა იქნება, ეზოში სპორტული საქმიანობა აეწყობა თუ არა? — ეკვით კითხულობდნენ მობინადრეები.

იქვეა „დინამოს“ სტადიონი. მისი დირექტორი ვაჟა ჟღენტიც მოვიწვიეთ ეზოში — რაიონის კულტურულ-სპორტული კომპლექსის ერთი უმთავრესი ობიექტი ხომ „დინამოს“ სტადიონი გახლავთ. როცა საქმის ვითარებას გაეცნო, ვაჟა ჟღენტმა მობინადრეებს განუცხადა, რომ სპორტკომბინატ „დინამოს“ კოლექტივი მზადაა ეზოს გაუწიოს შეფობა, საჩუქრად გადასცეს მაგიდის ჩოგბურთის ერთი კომპლექტი, სხვა სპორტული ინვენტარი, აღადგინოს კალათბურთის მოედანი, ეზოში შექმნას მობინადრეთა ჯანმრთელობის კლუბი, ჩაატაროს სპორტული შეჯიბრებები, თვით სტადიონზე კი უფასოდ მოემსახურებიან ველოსპორტის მოყვარულთა ერთ ჯგუფს.

გუშინ ვაჟა ჟღენტმა შეგვატყობინა, რომ ეზოს უკვე გადაეცა დანაპირები სპორტული ინვენტარი. საშეფო მუშაობა დაიწყო.

ცხადია, სპორტკომბინატის კოლექტივი და მისი ხელმძღვანელობა მადლობას იმსახურებენ. დღის წესრიგში დგება მათი თაოსნობის განზოგადების საკითხი. იქნებ დადგა დრო, სპორტულმა ბაზებმა, სპორტულმა საზოგადოებებმა და ორგანიზაციებმა, ფიზკულტურულმა კოლექტივებმა და კლუბებმა, უმაღლესი სასწავლებლების კათედრებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა ასევე შეფობა აიღონ მათთან ახლოს მდებარე ეზოებზე. ანდა, რატომ არ უნდა განზოგადდეს თუნდაც ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ექსპერიმენტი? შევიტანოთ სპორტი ეზოებში! ამ რეალური ამოცანის გადაწყვეტა უთუოდ შეიძლება, ოღონდ მოვინდომოთ.

ვალში არიან მოზარდებთან

„ჭოლა ლომთათიძის ქუჩის №№ 2, 4, ოქტომბრის ქუჩის № 303 და კომუნისტური შრომის ქუჩის №№ 21, 23 სახლებში მცხოვრებ ბავშვებს ერთი პატარა სათამაშო მოედანი გვაქვს, მაგრამ იგი ისეთი მოუწყობელია, რომ აქ არც შეკრება გვიხარია და არც ბურთაობა. არ არის კალათბურთის დგარები, ფრენბურთის ბადის გასაჭიმი ბოძები, ფეხბურთის კარები; დაზიანებულია ასფალტი და მავთულის ღობე; კალათბურთის ფარის მაგივრად, გაზის მილებს ვტყორცნით ბურთს, რისთვისაც სახლმმართველობის მუშაკები გვიწყრებიან. ცუდად შემოღობილი მოედნიდან ბურთი კერძო სახლებში მცხოვრებთა ეზოებში გვიფარდება და ისინიც გვიჯავრდებიან.

ჩვენთან ახლოს ვ. კოკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკია. რამდენჯერ მოვინდომეთ გვეთამაშა ამ პარკში მოწყობილ სპორტულ მოედანზე, მაგრამ იქ დიდი ბიჭები იკრიბებიან და ჩვენ არ გვათამაშებენ.

ნუთუ ასე ძნელია ჩვენი ეზოს მოედნის მოწესრიგება? ჩვენც შეგვიძლია მივეხმაროთ უფროსებს. ყველაფერს გავაკეთებთ, რასაც დაგვავალებენ“.

წერილს ხელს აწერენ დათო ცაგარეიშვილი, დათო ჯიხვაშვილი, მამუკა ანდრეევი, ლევან წიქარიშვილი, კახა მეცხვარიშვილი, ზაზა დოლიძე და სხვები, სულ 20 ბავშვი. „ოცი ცელქი, რომლებიც ბურთს ეხვრიან გაზის მილებს და რედაქციაში წერილის გაგზავნასაც ბედავენ“ — გაიფიქრა, ალბათ, სახლმმართველმა, როცა ბიჭების წერილი გამოგვართვა და გულდასმით ჩაიკითხა ავტორთა გვარები. დიახ, შევნიშნეთ, რომ სახლმმართველობაში ავტორთა ვინაობით უფრო დაინტერესდნენ (მოგეხსენებათ, აქ არ უყვართ „მომჩივანები“), ვიდრე მათი საწუხარით, რადგან კითხვაზე, რატომ არის ამდენი მრავალბინიანი სახლით გარშემორტყმული ეს ერთი ცოდა მოედანი ასე უყურადღებოდ მიტოვებული (ბიჭებს არც გადაუჭარბებიათ, ეგაა რომ, არ მოუწერიათ, მოედანი ჩვენ თვითონ დავხაზეთო), ისეთი პასუხი გაგვცეს, რომელსაც, როგორც იტყვიან, წყალი არ გაუვა: ქალაქის თბომეურნეობის სამმართველოს ამ ეზოში, მოედნის გასწვრივ, ცხელი წყლის მაგისტრალური მილები გაჰყავს. მალე აქ მანქანა-ტრაქტორები დატრიალდებიან და მოედანი სულ დაინგრევა. მილების ჩაყრის შემდეგ, ბავშვებს ან ამ მოედანს განუახლებთ, ან იქვე მოუწყობთ ახალს, იმ კერძო ბინების ადგილზე, მილების გაყვანის გამო რომ უნდა დაინგრესო.

ვნახოთ, როგორ შეასრულებენ დანაპირებს სახლმმართველობის მუშაკები. მათ გასაგონად უნდა ვთქვათ: მილების გაყვანის დამთავრებისთანავე უნდა იზრუნონ მოედნის მოწყობაზე, რადგან ისინი ვალში არიან მოზარდებთან. ვინ იცის, რამდენი წელია მოედნისკენ არ გაუხედავთ, რამდენ ბავშვს მოაკლეს ლამაზ სპორტულ მოედანზე გართობა-თამაშის სიხარული... უცნაურია, მაგრამ ფაქტია: სპორტული ნაგებობებისა და მარტივი სპორტული მოედნების კეთილმოწყობა-დათვალიერების რამდენი ერთთვიური და ორთვიური ჩატარდა, მაგრამ ამ მოედნის კეთილმოწყობა არავის უფიქრია.

მაგრამ, ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. რაიონის შესაბამისი სამსახურის მუშაკებმა, როგორც კი საშუალება მიეცემათ, მოედანი აუცილებლად უნდა მოუწესრიგონ ბავშვებს.

თამაზ შენგელია.

მეგობართა გამოცდილება

ხალისი, გართობა—ყველასათვის!

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციალურ განვითარებაში უდიდეს შესაძლებლობათა გამოვლენით, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. ერთიანი მწყობრი სისტემა, რომელიც აქ შეიქმნა ამ სფეროში, უზრუნველყოფს ყველა ასაკის მოსახლეობის სისტემატურ მეცადინეობას ფიზკულტურასა და სპორტში. რაღა თქმა უნდა, ამავე სისტემის შემადგენელი ნაწილია სპორტული ტალანტების გამოვლენა-დაოსტატებაც. მაგრამ დღეს ჩვენ საუბარი გვექნება ამ ქვეყანაში მასობრივ სპორტში დანერგილ სიახლეებზე. მეგზურობას გაგიწევს გდრ-ის სპორტულ ჟურნალ „შტარტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე პეტერ ჰერმანი, რომელიც რამდენიშე დღე ჩვენთან სტუმრობდა და დაინტერესდა საქართველოში მასობრივი სპორტის განვითარების საკითხებით.



პეტერ ჰერმანი.

— ბოლო ხანს ჩვენი მთავარი ამოცანაა მივაღწიოთ იმას, რომ მოსახლეობა კი არ „მივიყვანოთ“ სპორტთან, არამედ სპორტი თვითონ ეწვიოს მოსახლეობას. ის დრო, როცა ხალხს ვთხოვდით მოსულიყვნენ სპორტულ ბაზებზე და ეკარჯიშნათ, უკვე წარსულს ჩაბარდა — ამბობს პეტერ ჰერმანი. — ახლა გეზი იქითკენაა აღებული, რომ ადამიანმა ცდუნებას ვერ გაუძლოს და აუცილებლად მიჰყოს ხელი სისტემატურ ვარჯიშს. როგორ შეიძლება ამის მიღწევა? სოციალურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ადამიანები თავიანთი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულ სპორტულ ბაზებს, თუნდაც ამ ბაზებზე იდეალური პირობები შეუქმნან, სავარჯიშოდ თითქმის აღარ აკითხავენ. მაგრამ ისინი მზად არიან სისტემატურად ივარჯიშონ სახლთან ახლოს. ამის გათვალისწინებით დაიწყო ჩვენთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რეზერვების გამოვლენა. ვიყენებთ ნებისმიერ შესაძლებლობას, შენდება ახალი სპორტული ბაზები, სავალდებულოდ იქცა სპორტისთვის ნაგებობების გამოყოფა. იხსნება კლუბები... ერთი სიტყვით, ასე ვაახლოებთ სპორტს მასებთან. განსაზღვრული ვახორციელებთ პარტიის ყრილობის მიერ წამოყენებულ დევიზს — „სპორტი ყველასთვის!“ თუ უფრო დაწვრილებით გაინტერესებთ, დავძენ, რომ მასობრივ სპორტში მოსახლეობის დიდი ნაწილის მოსახიდად ძალზე მნიშვნელოვანია მეცადინეობისთვის დროის შერჩევა სურვილის მიხედვით. თითოეულს სპორტულ ბაზებზე თავისი დრო უნდა ჰქონდეს გამოყოფილი. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. როგორც კი ამა თუ იმ მიკრორაიონში სპორტული ბაზა გადაიტვირთება, უმალვე ახლის აშენება დგება დღის წესრიგში. ცხადია, რთული საქმეა, მაგრამ — აუცილებელი. ჩვენთან, ბერლინში, მაგალითად, ამბობენ: სახლიდან დაშორებულ სპორტულ ბაზებზე სიარულში დრო რატომ დავკარგო, ბოლოს და ბოლოს სხვა თუ არაფერი, მირჩევნია ეს დრო კორპუსებს შორის ან ქუჩაში სირბილს დავუთმო. და კიდევ: სხვაგან სპორტის სასახლეს, ჩემი ეზოს პატარა სათამაშო მოედანი მირჩევნიაო.

მაგრამ სპორტში მეცადინეობა თვითმიზანი არ არის. რაკი მთავარი ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცებაზე ზრუნვაა, თითოეულში ისიც უნდა იცოდეს, რა უფრო სასარგებლოა მისი ორგანიზმისთვის. აქ ნაყოფიერად მუშაობენ უბნის ექიმები, გარდა ამისა, არის ცენტრები, სადაც ყველა მოქალაქეს შეუძლია გაიაროს ღრმა სამედიცინო შემოწმება საგანგებო ტესტებით და მიიღოს რეკომენდაციები.

საერთო საქმეში წვლილი ჟურნალისტებსაც შეგვაქვს. ინფორმაციის ყველა ორგანო თავს მოვალედ თვლის იყოს, სულ მცირე, ერთი მასობრივი ღონისძიების ორგანიზატორი მაინც. ამავე დროს, ვეხმარებით სპორტულ ორგანიზაციებს მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში. მოსახლეობის ფართოდ ჩაბმაში. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ხალხი დიდი ხალისით მონაწილეობს სპორტულ-ფასართობ ღონისძიებებში. ორგანიზატორები თავად ქმნიან ახალ „სპორტის საბჭობებს“. მაგალითად, შეჯიბრების პროგრამაში შეგვაქვს არა სიგრძეზე, არამედ სიგანეზე ხტომა, ბირთვის ნაცვლად ქვის ტყორცნა, ადგილიდან სიმაღლეზე ხტომა და სამხტომი. არის ასეთი შეჯიბრებაც: ორ თხილამურზე ნაცვლად ერთისა ხუთი-ექვსი კაცი დგება, ან, „მძლეოსნურ ბილიკებზე და სექტორებში“, მაგალითად, ერთმანეთის გვერდით მდგარი ორ-ორი ადამიანი ცალი ფეხით გვერდიდან გადაებმება ერთმანეთს და იწყება შეტევა რეკორდებზე... ხალხი თავად იგონებს ასეთ სახეობებს“. ჩვენ გვესმის, რომ ეს არ არის სპორტი, მაგრამ მასში მონაწილენი ხომ მოძრაობენ, ხომ ეჯიბრებიან ერთმანეთს, თანაც ყველაფერი ეს ხალისს და სიამოვნებას ანიჭებს ადამიანებს. დიახ, მე ვთქვი, რომ ასეთი თამაშები არ არის სპორტი, მაგრამ სპორტში მეცადინეობის მადას კი ყველას აღუძრავს. განა ეს ცოტაა?

დავუბრუნდები მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფუნქციას. ჩვენთან ყველა სპორტულ საზოგადოებას, ყველა კლუბს ჰყავს თავისი მოკავშირე ჟურნალისტთა კოლექტივი ან ჟურნალისტი. ბერლინში 38 რედაქციაა. ყოველ მათგანს შერჩეული აქვს თავისი „წერტილები“, სადაც სისტემატურად ატარებს 4-საათიან მასობრივ ღონისძიებებს. ასეთ ზეიმზე 30-35 ათასი სხვადასხვა ასაკის ადამიანი იყრის თავს. ბევრი მათგანი მაყურებლის როლშია, მაგრამ, რასაც ხედავენ, ის მათთვის შესანიშნავი პროპაგანდაა, ისინი რწმუნდებიან, რომ მათაც შეუძლიათ ტრიბუნიდან სარბიელზე გადაინაცვლონ. ამას ჩვენ მასობრივ სპორტში ხალხის მოზიდვის ერთ მეთოდად ვთვლით. მეორე მეთოდია ფესტივალების ჩატარება სპორტის ცალეულ სახეობებში, მაგრამ სპორტი აქაც „მოდერნიზებულია“. მაგალითად, ფრენბურთს თამაშობენ მხოლოდ მუშტით. სპორტის ფესტივალი ეტაპობრივად ტარდება და გამარჯვებულები დასკვნით შეხვედრებზე ბერლინში იყრიან თავს.

თქვენ ალბათ დაგაინტერესებთ ჩვენი ჟურნალის როლი. ყოველწლიურად სხვადასხვა ქალაქში ვატარებთ ერთ ღონისძიებას დევიზით: „სპორტული თამაშები სიამოვნებისთვის“. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სიახლემ — წლევანდელი ზამთრის ერთ საღამოს ბერლინის მოსახლეობა თავიანთი ციგებით მივიწვიეთ საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე. ჩვენ ყველას ვთხოვეთ მხოლოდ ერთხელ დაშვებულიყვნენ ციგით ფერდობიდან. ვინც ერთხელ დაეშვა, ის მეორედაც ავიდა და მესამედაც ფერდობის თავზე. ძალიან დიდხანს გაგრძელდა ზეიმი.

ჟურნალში შემოღებული გვაქვს რუბრიკა „როგორ მოვიზიდოთ მასები“. თვით მოსახლეობა მრავალ წინადადებას გვთავაზობს, რომლებსაც შემდეგ პრაქტიკულად ვახორციელებთ სპორტულ საზოგადოებებთან ერთად.

ადრე ჩვენთან წინა პლანზე საშეჯიბრები პრინციპი იყო წამოწეული. ახლა მთავარია ხალისი, გართობა, რაც ასე მოსწონს ყველას. სოციოლოგიურმა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ წმინდა სპორტული შეჯიბრება არასპორტსმენებს, განსაკუთრებით საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებს, ნაკლებად იზიდავს. თანაც, ადრე ასე იყო: შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმას ჰქონდა, ვინც ამა თუ იმ კლუბის წევრი იყო. ახლა ვითარება მკვეთრად შეიცვალა — ხალხის ინტერესების გათვალისწინებით ქვეყნის ყველა სპორტული ბაზის კარი, მიუხედავად უწყებრიობისა, ღიაა მოსახლეობისთვის.

საუბარი ჩაიწერა
თ. თომაშვილმა

სსრ კავშირის პირველობა

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში შედგა XVI ტურის, მატჩი ლანჩხუთის „გურიასა“ და ვილნიუსის „ჟალგირისს“ შორის.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 0:2 (0:0).

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 27 ივნისი.

„გურია“: ქანთარია, მიქაბერიძე (ალუსი, 39 წუთი), მახარაძე, ე. თევზაძე, არზიანი, დანელია, კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, მეგრელაძე (ეოგიჩაიშვილი, 73), ფრიდონაშვილი, მ. თევზაძე.

„ჟალგირისი“: იურკუსი, იაკუბაუსკასი, ხუკერისტოვი, მაუეიკასი, იანონისი, ბუზმაკოვი (პანკრატიევი, 46), ბარანაუსკასი, მაცკევიჩუსი, რუზიისი (ტაუტკუსი, 65), რასიუკასი, ნარბეკოვასი.

მსჯი ი. ხავჩენკო (მოსკოვი).

დებლიორები — 0:9.

„ჟალგირისის“ ბოლო წლების წარმატებები ფეხბურთის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, 22 ივნისის შეხვედრაში კი მოსკოვის „სპარტაკთან“ დიდი ანგარიშით მოგებული თამაშის შემდეგ ვილნიუელებმა გათამაშების წამყვან ჯგუფში დაიკავიდრეს ადგილი და ახლ ფავორიტებადაც გვევლინებიან. „ჟალგირისთან“ ბრძოლა უმაღლესი ლიგის ყოველი გუნდისთვის ძნიელ პრობლემად იქცა, ასევე ძნელი იყო ეს თამაში ლანჩხუთელთვისაც, რომლებიც თითოეულ ქულისთვის ახლა გაათკეცებულ მონდომებით უნდა იბრძოდნენ. ასეთი მონდომებით იბრძოლა „ურიამ“ თავის მინდორზე „ჟალგირისთან“. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერას გახდა და შინ კვლავ დაკარგა მეტად საჭირო ქულები. ოსტატობას თავისი გააქვს, „ჟალგირისმა“ ამ დღეს ლანჩხუთის სტადიონზე უადრესად რაციონალური, ეკონომიური და გაბრძენებული თამაში აჩვენა, მაგრამ მასპინძელთათვის ეს უიმედო თამაში როდი იყო. პირიქით, „გურია“ დასაწყისიდანვე ენერგიულად უტევდა, მ. თევზაძემ ვერ გამოიყენა კარგი მომენტი, არზიანმა ძელს მოახვედრა ბურთი, კოპალეიშვილმა ცარიელ კარში თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი წინ გამოსულ იურკუსს და ეს დარტყმაც არაზუსტი გამოდგა. ერთი სიტყვით, სახიფათო მომენტები „ჟალგირისის“ კართან საკმარისად იქმნებოდა, მაგრამ ვილნიუსელები ყოველნაირად ცდილობდნენ შეენელებინათ ტემპი, მეტოქის შემტევი ფეხბურთელების წინააღმდეგ ორგანიზებული, მოფიქრებული დაცვა აღემართათ. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტაიმში თამაში თითქმის ერთთავად სტუმრების ნახევარზე ძმდინარეობდა, ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

ასევე აქტიურად დაიწყეს თამაში მასპინძლებმა მეორე ტაიმშიც, მაგრამ გარდატეხა მოხდა 55-ე წუთზე, როცა „ჟალგირისის“ ერთ-ერთი კონტრიერიშის დროს მარჯვენა ფლანგიდან მიღებული ბურთი ბარანაუსკასმა ნარბეკოვასს გადააწოდა, მანაც შორი მანძილიდან უძლიერესი დარტყმით ზედა ძელს ქვეშ გაგზავნა ბურთი — 1:0.

სტუმრებმა თითქმის ანალოგიური მანევრი განახორციელეს 70-ე წუთზე, ლანჩხუთელთა საჯარიმო მოედანზე შეიჭრა ტაუტკუსი, გადასცა ნარბეკოვასს და უმაღლესი ლიგის საუკეთესო ბომბარდირმა კვლავ ზუსტად დაარტყა — 2:0.

თამაშის საერთო კლასმა მაინც იჩინა თავი. ლანჩხუთელები ამის შემდეგაც ბევრს უტევდნენ, მაგრამ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოძებნეს შესაფერისი მომენტი ზუსტად რომ დაერტყათ კარში, ვილნიუსელთა დაცვა უნარიანად იგერიებდა ყველა ამ იერიშს და გამარჯვების შენარჩუნებაც არ გასჭირვებია.

მსაჯთა რეესტრი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა მსაჯთა სია, რომლებიც ივლისში იმსაჯებენ უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მატჩებს.

1 ივლისი. „დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი). **ვ. ლიხენკო (ოდესა).**

10 ივლისი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი). **ი. ივჩენკო (მოსკოვი).**

14 ივლისი. „გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (მინსკი). **ნ. იუროვი (ტომსკი).**

25 ივლისი. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი). **ა. კირილოვი (მოსკოვი);** „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „გურია“ (ლანჩხუთი). **რ. იუშკა (ვილნიუსი).**

29 ივლისი. „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (თბილისი). **ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი);** „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „გურია“ (ლანჩხუთი). **ო. ჩინიონოვი (მოსკოვი).**

მოსკოვის „სპარტაკისა“ და დონეცკის „შახტიორის“ მატჩს 9 ივლისს იმსაჯებს თბილისელი არბიტრი ვ. **მიმინოშვილი.** 29 ივლისის შეხვედრას მოსკოვისა და კიევის დინამოელთა შორის კვლავ ვ. **მიმინოშვილი** იმსაჯებ!

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი

არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში გაიხსნა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი ფეხბურთში. არგენტინისა და პერუს გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ. 48-ე წუთზე ანგარიში გახსნა არგენტინელთა კაპიტანმა დიეგო მარადონამ. მე-60 წუთზე კი უმეთვალყუროდ დარჩენილმა რეინმა ისარგებლა მეტოქეთა დაცვის შეცდომით და თავით გაგზავნა ბურთი კარში — 1:1.

იტალიელ ჭაბუკთა რეაბილიტაცია

საერთაშორისო სპორტულ პრესაში ამას წინათ გამოქვეყნდა ცნობა, რომ 16 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალზე არ დაუშვებენ იტალიის ნაკრებს, ვინაიდან მის შემადგენლობაში გამოდიოდა უფროსი ასაკის ფეხბურთელი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო უეფა-ს სადისციპლინო კომისიამ.

იტალიელებმა აპელაცია შეიტანეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში, რომელმაც შემოწმებით გამოარკვია, რომ არავითარი დარღვევა არ ყოფილა. ფიფა-ს გადაწყვეტილებით იტალიელ ჭაბუკთა ნაკრები აღდგენილია თავის უფლებებში, იგი მონაწილეობას მიიღებს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც სულ მალე გაიმართება კანადაში.

ფეხბურთი ყველამ უნდა ნახოს

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მოლაპარაკება დაამთავრა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტელეგადაცემათა თაობაზე, იგი მატჩების ტელერეპორტაჟებში 220 მილიონ დოლარს მიიღებს, ეს კი სარეკორდო თანხაა ფეხბურთის ისტორიაში.

ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ი. ბლატერმა განაცხადა:

— კერძო ტელეკომპანიები მეტსაც გვთავაზობენენ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ გვაძლევდა იმის გარანტიას, რომ მსოფლიო ჩემპიონატის გადაცემებს ნახავდნენ აფრიკისა და აზიის ნაკლებად შეძლებული ქვეყნები, ჩვენ კი ამის კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ. ფეხბურთი ყველამ უნდა ნახოს.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ჯერჯერობით არ ასახელებს იმ ტელეკომპანიას, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლაციის უფლება მიიღო. ეს დიდი საიდუმლოა.

I ლიგა

გუშინ გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XIX ტურის მატჩები. ორივე ჩვენი გუნდი შინ თამაშობდა.

ქუთაისის ტორპედოელებმა სტავროპოლის „დინამო“ მიიღეს. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და დონის როსტოვის „როსტსელმაში“. ანგარიშით 4:0 გაიმარჯვეს ბათუმელებმა.

საკავშირო პირველობა

27 და 28 ივნისს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XX ტურის მატჩები პირველი ჯგუფის გუნდებს შორის:

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:3, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:2, „დურუჯი“ (ყვარელი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 1:1, „სულორი“ (ვანი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 4:2, „არმაზი“ (მცხეთა) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 3:0, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:2, „დინამო“ (ზუგდიდი) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:3, „კახეთი“ (თელავი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:0, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სამეგრელო“ (წალენჯიხა) 0:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 4:0, „დინამო“ (გაგრა) — „ივერია“ (ხაშური) 0:0.

მსოფლიოს სტადიონებზე

ესპანეთის თასი პირველად მოიპოვეს სან-სებასტიანის „რეალის“ ფეხბურთელებმა. ფინალში, რომელიც სარაგოსაში შედგა, ისინი შეხვდნენ მადრიდის „ატლეტიკოს“. თამაში მიმდინარეობდა 35-გრადუსიან სიცხეში და ფრედ დამთავრდა — 1:1, დამატებითი პენალტებით გამარჯვება მოიპოვა სან-სებასტიანის „რეალმა“ — 4:2. აღსანიშნავია, რომ ამ 11-მეტრიანების სერიაში შესანიშნავად ითამაშა ესპანური ფეხბურთის ვეტერანმა, „რეალის“ მეკარემ ლუის არკონადამ.

სან-სებასტიანის „რეალი“ მონაწილეობას მიიღებს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

„მუნდიალიტოს“ საერთაშორისო ტურნირზე იტალიის ქალაქ მილანში მორიგი ტური მშვდობიანი შედეგებით აღინიშნა: „მილანმა“ და „ინტერმა“ ფრედ ითამაშეს — 0:0, „პორტომ“ და „ბარსელონამ“ კი — 1:1.

3 ტურის შემდეგ 5 ქულით ლიდერობს „მილანი“.

ტორეში გამოეთხოვა ფეხბურთს

მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელს, წარსულში ცნობილ ფეხბურთელს ჟოზე ტორეშს გუნდთან გამოთხოვება მოუხდა. იგი პირველი ლიგის კლუბ „ბოავიშტაში“ გადავიდა, მაგრამ მისი აქ ყოფნაც ხანმოკლე აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ამ გუნდმა ეროვნულ ჩემპიონატში ვერაფრით გამოიჩინა თავი, ტორეშმა გადაწყვეტილება მიიღო საერთოდ დაანებოს თავი ფეხბურთს. ამიერიდან იგი სამშენებლო ფირმას უხელმძღვანელებს.

სანქციები წესრიგის დამრღვევმა კიროვაბადის „ქიაფაზმა“

კიროვაბადის „ქიაფაზი“ და სტეფანაკერტის „ყარაბახი“ II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში მონაწილეობენ. ეს ის ზონაა, სადაც საქართველოს გუნდებიც გამოდიან, ამდენად ჩვენი მეზობელი კოლექტივების ამბებიც, ცხადია, გვაინტერესებს.

ეს ორი გუნდი 2 ივნისს სტეფანაკერტში შეხვდა ერთმანეთს და სწორედ იქ მოხდა ყოვლად უმსგავსო ამბავი: მატჩის დამთავრებას 6 წუთი აკლდა, როცა კიროვაბადელმა ფეხბურთელებმა, რომლებიც ანგარიშით 1:3 აგებდნენ, თვითნებურად მიატოვეს მინდორი, გასახდელ ოთახში ერთიანად ჩალეწეს ფანჯრები, დაამტვრიეს ავეჯი და ამის მერე შინისკენ გაემგზავრნენ...

„ქიაფაზის“ ეს სკანდალური საქციელი პირველი არაა, სტეფანაკერტში მომხდარი ინციდენტის წინ კიროვაბადელი ფეხბურთელები ქ. ყაზახში, ადგილობრივ „გოიაზანთან“ მატჩში წინლებით და მუშტიკრივით უმასპინძლდებოდნენ მასპინძლებს, უხეშობდნენ, დაუფარავად ხულიგნობდნენ, რის გამოც თამაში ათი წუთით შეწყდა. „ქიაფაზი“ კი, სხვათა შორის, ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია ზონაში, ამდენად, იგი ყოველმხრივ სამაგალითო უნდა იყოს.

კიროვაბადელი ფეხბურთელები „ყარაბახთან“ შეხვედრაშიც ასევე ხულიგნობდნენ, დაურიდებლად ურტყამდნენ ფეხებში მეტოქეებს და ამაო იყო ალმაათელი არბიტრის მ. გოდინშტეინის ყველა ცდა—წესრიგის დამყარება მინდორზე მან ვერაფრით ვერ შეძლო. „ქიაფაზის“ ფეხბურთელები არ ცხრებოდნენ, მსჯის ყოველ სასტვენზე ხმამაღლა დავობდნენ და ილანძღებოდნენ, მოთამაშეებთან ერთად ყოველად დაუშვებლად იქცეოდნენ გუნდის ხელმძღვანელები ზ. ჰუსეინოვი და ა. ყურბანოვი. როგორც გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ იუწყება, კიროვაბადელ ფეხბურთელთა თავგასულობამ ამ ორ მატჩში ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა.

აზერბაიჯანის სსრ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა პრინციპულად იმსჯელა კიროვაბადის „ქიაფაზის“ მოთამაშეთა და მწვრთნელთა ამ უმსგავსოებაზე, ხოლო რესპუბლიკის სპორტსახკომმა დაამტკიცა მათი გადაწყვეტილება მოიხსნას „ქიაფაზის“ უფროსი მწვრთნელის თანამდებობიდან ზ. ჰუსეინოვი. მკაცრი საყვედური გამოუტანეს გუნდის უფროსს ა. ყურბანოვს, აგრეთვე, სტეფანაკერტის „ყარაბახის“ გუნდის უფროსს ა. ბალაიანს. საყვედური გამოუცხადეს „ყარაბახის“ უფროს მწვრთნელს ო. მკრტიჩევს.

ეს სერიოზული ინციდენტი უყურადღებოდ არც სსრ კავშირის პროფკავშირების ფეხბურთის ფედერაციას დარჩენია. ფედერაციის პრეზიდიუმმა აზერბაიჯანის სსრ სპორტსახკომს წინადადება მისცა განიხილოს კიროვაბადის „ქიაფაზის“ გუნდის უფროსის ა. ყურბანოვის თანამდებობაზე დატოვების საკითხი, „ქიაფაზის“ ფეხბურთელი ფ. ალაჰვერდიევი დისკვალიფიცირებულია სეზონის ბოლომდე, მის თანაგუნდელებს ა. ალიევსა და ტ. მამედოვს 3-3 მატჩით აუკრძალეს საკავშირო გათამაშებაში მონაწილეობის მიღება, ხოლო სტეფანაკერტის „ყარაბახის“ მოთამაშეს ს. გაბრიელიანს კი 5 მატჩით.

კიროვაბადის „ქიაფაზი“ პირობითად დისკვალიფიცირებულია, კოლექტივი გაფრთხილეს, რომ მსგავსი უდისციპლინობის შემთხვევაში დაისჯება საკითხი გუნდის შეჯიბრებიდან მოხსნის თაობაზე.

მას შემდეგ, რაც ამსტერდამის „აიაქსის“ თავდამსხმელი, „ოქროს ბუცის“ 1986 წლის მფლობელი მარკო ვან ბასტენი იტალიის „მილანში“ გადავიდა, „აიაქსის“ პრეზიდენმა „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ირლანდიის ნაკრების თავდამსხმელთან ფრენკ სტეპლტონთან დადო ორწლიანი კონტრაქტი.

„ბოტენჯევ ჯოტსპურისა“ და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი გლენ ჰოდლი გაემგზავრა მონტე-კარლოში, კლუბ „მონაკოსთან“ კონტრაქტის გასაფორმებლად. იგი მარკ ჰეიტლისთან ერთად ითამაშებს ამ გუნდში.

„უოტფორდისა“ და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელმა ჯონ ბარნსმა გადაწყვიტა „ლივერპულში“ გადავიდეს.

„ლივერპულის“ მოთამაშე მენეჯერის კენი დალგლიშის აზრით, მომავალ სეზონში ტრიომ დანიელ იან მელბიუს, ჯონ ბარნსისა და პიტერ ბეროსლის შემადგენლობამ თავისი სიტყვა უნდა თქვა.

ჩემპიონატის ექო

შრომა და ნებისყოფა

ჯემალ ვლადიმერის ძე მჭედლიშვილი

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ასკ (თბილისი).
დაიბადა 1962 წლის 20 სექტემბერს ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთში.
სიმაღლე 176 სმ, წონა — 82 კგ.
დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი.
მწვრთნელები — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გურამ პაპიტაშვილი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნუგზარ ხუციშვილი.
ჰიდაობა დაიწყო 1974 წელს.
1978 წელს ახალგაზრდა ძიუდოისტთა საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს.
1985 და 1986 წლებში საქართველოს ფალავანი გახდა.
ხუთჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი ძიუდოში ახალგაზრდებს შორის, ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორი. მეორე ადგილი ჰქონდა სსრ კავშირის ხალხთა ბოლო სპარტაკიადაზე.
1985 წელს სსრ კავშირის თასი



მოიპოვა სამბოში. 1987 წელს ჯერ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა სამბოში, მერე კი ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა 82 კგ. წონით კატეგორიაში.

ხშირად გვითქვამს ასე: ქართული ჭიდაობა ყველა სხვა ჭიდაობის საფუძველთა საფუძველიაო. ამას რომ ვამბობდით, უმთავრესად, ჭიდაობის კლასიკურ სახეობებს (თავისუფალი, ძიუდო, სამბო) ვგულისხმობდით, მაგალითიც ბევრი გვქონდა, ზოგი ძველი მოჭიდავეების ცხოვრებიდან, ზოგიც ახლანდელი ფალავნების ბიოგრაფიიდან. კიდევ ერთ თვალსაჩინო მაგალითს ჯემალ მჭედლიშვილის მიერ განვლილი გზა გვაძლევს.

ზემო ხვედურეთში, სადაც ის დაიბადა და აღიზარდა, ჭიდაობის კლასიკური სახეობებს, ცხადია, არ იცნობდნენ. სამაგიეროდ, დიდმაც და პატარამაც კარგად იცოდა რა არის ქართული ჭიდაობა. რას უნდა მიაქციოს ახალგაზრდამ მთავარი ყურადღება და როგორ, რა გზით უნდა გახდეს იგი სოფელში აღიარებული ფალავანი.

ბავშვობაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება თბილისშიც გამოადგა, იგი ერთნაირი წარმატებით ვარჯიშობდა ძიუდოში, სამბოში, მაგრამ ქართულ ჭიდაობასაც არ ივიწყებდა და როგორც კი საშუალება მიეცემოდა, სარბიელზე გადიოდა. ერთი სიტყვით, ქართული ჭიდაობის ნოყიერ ნიადაგზე აღმოცენდა და გაიფურჩნა მისი ნიჭი, რომლის წყალობითაც წარმატებით დალაშქრა ევროპული სამბოს უმაღლესი მწვერვალი.

ჯემალ მჭედლიშვილი ჯერ ოცდახუთის არც კი არის. ეს სიმწიფის ასაკია. ამიტომაც ვართ დარწმუნებული, რომ ნიჭიერი მოჭიდავე ახლო მომავალში სპორტის ახალ-ახალ მწვერვალებს დაიპყრობს.

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში, სადაც ევროპის ჩემპიონატი ტარდებოდა, ჯემალ მჭედლიშვილმა ოთხი შეხვედრა ჩაატარა და ყველა დამაჯერებლად მოიგო. მეტოქეებს 42 ქულა აართვა, თავად კი მხოლოდ ორი „გასცა“. ჩემპიონიც ასეთი უნდა!

● რომელი ბრძოლა იყო თქვენთვის სოფიაში მთავარი?

— რიგით მესამე, ფრანგ მოჭიდავესთან, მსოფლიო ჩემპიონ ჟ. დიურუსთან. ჯერ ერთი, ჩვენს წონაში იგი ყველაზე ძლიერი და გამოცდილი სამბისტი გახლდათ, თორემ ისე მსოფლიო ჩემპიონი ვერც გახდებოდა. მეორეც, ამ შეხვედრაში გამარჯვებულს ფინალში ოქროს მედლისთვის უნდა ეჭიდავა. სწორედ ამიტომ მეც და ჩემი მწვრთნელებიც ბრძოლისთვის საგანგებოდ განვეწყვეთ.

● როგორ მოიგეთ ორთაბრძოლა?

— მეტოქეს თორმეტი ქულა ავართვი, იმან კი მხოლოდ ორი ქულა „გამიკეთა“.

● ქართული ჭიდაობის გამოცდილება თუ გამოგადგათ?

— გამომადგა და მერე როგორ. სხვათა შორის, დიურუ ბოლო წლებში საბჭოთა ჩემპიონებს იაკოვლევსა და რასკაზოვს ძირითადად ფიზიკური ძალით ამარცხებდა. ასე მოუგო მან მსოფლიო ჩემპიონატზე იაკოვლევს და მსოფლიო თასის გათამაშებაში რასკაზოვს. მაგრამ ფრანგ მოჭიდავეს ერთი ნაკლი აქვს. ქამარში ხელის ჩავლებას ვერ იტანს. ვერც ქართული ჭიდაობის ილეთებშია დიდად გარკვეული. ეს მისი სისუსტე და ჩემი კოზირი იყო. მე მთელი შეხვედრის მანძილზე მეტოქე ქამარში მყავდა ჩავლებული და ყველა ქულა ერთი და იგივე ილეთით — გადავლებით დავაგროვე.

● მაგრამ ადრე თუ გვიან, ფრანგი მოჭიდავე ამ ფანდის წინააღმდეგ, ალბათ, რაიმე კონტრილეთს მოამზადებს?

— მოამზადოს. მეც მაქვს მარაგში სხვა ილეთები. ევროპელი მოჭიდავეები ქართული ჭიდაობის ხერხებში კარგად ვერ არიან გათვითცნობიერებულნი. ერთი ორჯერ კისრულიდან აკიდება და მაჯებიდან გდებაც ვცადე. გამომივიდა, მაგრამ მერე აღარ მიხმარია. არ იყო საჭირო.

● ფინალში რაიმე პრობლემა თუ გქონდათ?

— ჩემს მეტოქეს ესპანელ გუტიერესს, რომელიც ჯრამდენიმე წლის წინათ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, გამოცდილება აკლდა. ფიზიკურად ისიც ძლიერია, მაგრამ სამბოს ილეთების არსენალს სრულყოფილად ვერ ფლობს. მე იგი ტექნიკურად დავამარცხე. როცა ანგარიში 7:0 გახდა, დავრწმუნდი, რომ გუტიერესი არ იყო ჩემი კონკურენტი. ფრანგი მასზე გაცილებით ძლიერი სამბისტია.

● ძიუდოშიც საკმაოდ წარმატებით გამოდიხართ. საინტერესოა, სად უფრო ძნელია გამარჯვების მოპოვება — სამბოში თუ ძიუდოში?

— შეჯიბრებას გააჩნია. ძიუდოში, მაგალითად, საერთაშორისო სარბიელზე აღიარება ძნელი საქმეა. სამბოში კი პირიქით — თუ საბჭოთა კავშირში პირველი ხარ, მსოფლიოში წინ ვერავინ დაგიდგება.

● ქართული ჭიდაობიდან სამბოში ან ძიუდოში გადასულმა ათლეტმა რას უნდა მიაქციოს ყურადღება?

— ჩვენ ჩოქბჯენში, ფაქტიურად, არ ვჭიდაობთ, სამბოსა და ძიუდოში კი ჩოქბჯენი ბრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი ფაზა გახლავთ. ამიტომ ჩოქბჯენის ტექნიკის დაუფლება მათთვის აუცილებელია.

● რატომ არ იყო ამჯერად ნაკრების შემადგენლობაში სოხუმელი სერგეი ტერნოვიხი?

— სერგეიმ ამ ცოტა ხნის წინათ მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ვარჯიში, თუ არ ვცდები, ჯერაც არ განუახლებია.

● თუ აქვს კიდევ ჩვენს რომელიმე მოჭიდავეს ნაკრებში მოხვედრის შანსი?

— ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა სამბისტი გვყავს. ზოგი მათგანი ნაკრების კანდიდატთა სიაში არის კიდეც ჩარიცხული. მაგრამ ჯერ მუშაობაა საჭირო, გულმოდგინე ვარჯიში და ტექნიკის დაუფლება.

● ვინ არის თქვენი ოცნების მოჭიდავე?

— შოთა ჩოჩიშვილი და თემურ ხუბულური.

● რატომ მოგწონდათ მათი ჭიდაობა?

— ჩოჩიშვილს ულამაზესი გდებები ჰქონდა, ხუბულური კი უშიშარი მებრძოლი იყო.

● სპორტის რომელი სახეობა გიყვართ სხვებზე მეტად? რა თქმა უნდა, ჭიდაობა არ გვაქვს მხედველობაში.

—ფეხბურთი და კალათბურთი. ფეხბურთს, სხვათა შორის, ახალგაზრდობაში ურიგოდ არ ვთამაშობდი.

● რას უსურვებდით ახალგაზრდებს?

— პირველ რიგში შრომას, უშრომელად სპორტში წარმატება წარმოუდგენელია. მოჭიდავეს ნებისყოფაც უნდა ჰქონდეს, თანაც რკინის. წვრთნის პროცესში ჩქარად იმის გაკეთება გიხდება, რაც არ გიყვარს. ამან, რომ არ გაგაღიზიანოს, ნებისყოფა უნდა გქონდეს. ახალგაზრდობის წლებში მოჭიდავეები წარმატებას უმთავრესად ბუნებრივი ნიჭის წყალობით აღწევენ. მერე და მერე კი მოჭიდავის მთელი ცხოვრება ნებისყოფის კარნახს უნდა დაექვემდებაროს. ვინც ამას ახერხებს, სარბიელზე დიდხანს რჩება, ვინც არა და... ჩვენ,სამწუხაროდ, ბევრი მაგალითი გვაქვს იმისა, თუ როგორ იკარგებიან დიდ სპორტში ნიჭიერი და იმედის მომცემი ახალგაზრდები. ნებისყოფა არ ყოფნით, ეს არის და ეს.

ლიდერობს სპილმენი

იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცაში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი საზონთაშორისო ტურნირი.

IV ტურის რამდენიმე პარტიის შედეგი უკვე გაცნობეთ. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ალბურტი-ზაპატა — 1:0, კავალეკი-მარიანოვიჩი — 0,5:0,5; ერნსტისა და პრასადის პარტია გადიდო.

დამთავრდა გადადებული პარტიებიც. ჩერნინი და საქსი (III ტური) თამაშის განუახლებლად დაზავდნენ. ზაპატამ მოუგო სმისლოვს (I ტური), ერნსტმა — პრასადის. I ტურის გამოტოვებულ პარტიაში დაზავდნენ ტალი და საქსი.

კვირას გაიმართა V ტურის შეხვედრები, გაგაცნობთ ზოგიერთის შედეგს: ჩერნინი-სპილმენი — 0:1, ტალი-ალბურტი — 0,5:0,5, შორტი-სმისლოვი — 1:0, ზაპატა-როდრიგესი — 1:0, პრასადი-საქსი — 0:1.

5 ტურის შემდეგ გათამაშებას 4 ქულით ლიდერობს ინგლისელი ჯონათან სპილმენი. 3,5-3,5 ქულა მოაგროვეს მიხეილ ტალმა, ინგლისელმა ნაიჯელ შორტმა და უნგრელმა დრულას საქსმა. ვასილი სმისლოვსა და ალექსანდრე ჩერნინს 1,5-1,5 ქულა აქვთ.

კალეიდოსკოპი

ესეც ოლიმპიადაა

ესეც თავისებური ოლიმპიური თამაშებია, ოღონდ მას უფრო ხშირად „ჯუჯა“ ქვეყნების ოლიმპიადას უწოდებენ. პირველი ასეთი თამაშები, რომელიც 1985 წელს ჩატარდა, ისლანდიის წარმომადგენლებმა მოიგეს. მეორე ოლიმპიადას ამას წინათ ნიქოზია (კვიპროსი) მასპინძლობდა.

შეჯიბრებაში ადგილობრივი სპორტსმენების გარდა მონაწილეობდნენ: ისლანდიის, ანდორის, ლიხტენშტეინის, ლუქსემბურგის, მალტის, მონაკოსა და სან-მარინოს წარმომადგენლები. გამარჯვება, ისევე როგორც ორი წლის წინათ, ისლანდიელ „ოლიმპიელებს“ დარჩათ (15 ოქროს, 26 ვერცხლისა და 22 ბრინჯაოს მედალი). მეორე ადგილზე თამაშების მასპინძლები გავიდნენ (შესაბამისად 13, 17 და 16).

უჩვეულო მატჩი

იუგოსლავიის ჭადრაკის მოყვარულებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. გამომცემლობებმა „კნიგევნე ნოვინემ“ და „სვეტლოსტმა“ ედუარდ გუფელდის („გარი კასპაროვი — ვარსკვლავი ბაქოდან“) და საჭადრაკო პუბლიცისტის დიმიტრიე ბელიცას („დიდოსტატები ახლოდან“) წიგნები დასტამბეს.

გუფელდის ორტომიან მონოგრაფიაში მსოფლიო ჩემპიონის მიერ ნათამაშევი ყველა პარტიაა მოყვანილი. ბელიცა კი მკითხველებს ორმოც ცნობილ დიდოსტატთან ინტერვიუს სთავაზობს. ეს წიგნები ბელგრადელებს ახალგაზრდობის სახლში გამართულ საზეიმო შეხვედრაზე წარუდგინეს. მერე გაიმართა ამხანაგური მატჩი რვა დაფაზე გ. კასპაროვისა და ა. კარპოვის თაყვანისმცემლებს შორის. მსოფლიო ჩემპიონის გუნდს დიდოსტატი ბორისლავ ივკოვი მეთაურობდა, ექსჩემპიონის გუნდს კი თვითონ ბელიცა. გამარჯვება ამ უჩვეულო მატჩში კასპაროვის მომხრეებმა მოიპოვეს — 4,5:3,5.

მადლობის ბრძანებით

სირიის ძალოსნობის ფედერაციამ საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომს თხოვნით მიმართა, რათა საბჭოთა მწვრთნელები იგორ ხუდიაკოვი და ანატოლი ოპრიშკო ოქროს დიდი მედლებით დაეჯილდოვებიათ. როგორც ცნობილია, ეს ორი საბჭოთა სპეციალისტი ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს რამდენიმე წლის მანძილზე ამზადებდა.

წლეულს დამასკოში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში სირიის სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს და ამ რეგიონის უცვლელი ჩემპიონი თურქთის ეროვნული ნაკრები დიდი უპირატესობით დაამარცხეს. ოთხმა სირიელმა ძალოსანმა ვაგაზ სადეკმა, ცურკი შანგანმა, ჰალედ არნაულმა და მუჰამედ ფაიადმა ქვეყნის რეკორდები დაამყარეს.

ჯარიმა საჰაერო მოგზაურობისათვის

ეს ამბავი შარშან სექტემბერში მოხდა. ჰოლანდიელმა ჰენკ ბრინკმა და მისმა ორმა თანამგზავრმა საჰაერო ბურთით ატლანტის ოკეანეს გადაუფრინეს. მაგრამ ეს გაბედული მოგზაურობა კინალამ ტრაგიკულად დამთავრდა. ჰოლანდიის სანაპიროზე საჰაერო ბურთმა უცებ დაშვება დაიწყო. ხიფათი რომ თავიდან აეცილებინათ, ეკიპაჟმა ბალასტი მიწაზე გადმოყარა. ხომალდმა სიმაღლე შეინარჩუნა, მაგრამ...

ტომრები თურმე ტყვიის ბურთულებით ყოფილა დატენილი და ბალასტის გადმოგდების შემდეგ იგი „რკინის წვიმად“ იქცა. ერთ-ერთმა ასეთმა ბურთულამ ქ. ჰარლემის ლითონის ჩამომსხმელი ქარხნის ჭერი ჩამოანგრია, ერთი ტომარა საცხოვრებელი სახლის აბაზანაში ჩავარდა, დანარჩენი კი ქალაქის ქუჩებს მოეფინა.

ჰოლანდიის ხელისუფლებამ ჰენკ ბრინკის წინააღმდეგ საჩივარი აღძრა. სასქმე ამას წინათ განიხილა სასამართლომ და საბედისწერო მოგზაურობის მეთაური 3 ათასი გულდენით (1500 დოლარით დააჯარიმა).

უიმბლდონ ტურნირ

ზვერევა ვოლკ
მერვეფინალ

გავიდ

ეს თავისთავად დიდი წარ
ტებაა. მინსკელი ნატალია ზ
რევა და კალინინგრადელი ალ
სანდრე ვოლკოვი უიმბლდონ
ტურნირზე თექვსმეტ უძლიერ
ჩოგბურთელთა შორის მოხ
და მერვეფინალში ითამაშე

ზვერევამ მესამე წრეში ენ
ნრიკსონი (აშშ) დაამარცხა —
6:2, ვოლკოვმა კი მსოფლ
ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბ
თელ ბრედ ჯილბერტს (აშშ)
ბა — 7:6, 0:6, 6:3, 6:4. საინ
რესოა აღინიშნოს, რომ
ნის ტურნირის დაწყებამ
კოვს მსოფლიო კლასიფ
503-ე ადგილი ეკავა (იგ
შორო კლასიფიკაციაშიც
მეექვსეა) და ძირითად
ბაში მონაწილეობის უფ
რჩევით ტურნირში წარმ
შემდეგ მოიპოვა. ვოლკ
ტოქე მერვეფინალში მი
მეჩირისა (ჩეხოსლოვაკია)
დერს იარიდის (შვეიცია)
რაში გამარჯვებული სპო
ნი იქნება.

ზვერევა ინგლისში უფრ
პულარულია, განსაკუთ
უიმბლდონის გოგონათა შ
დელ ტურნირში გამარჯვ
შემდეგ, წლეულს მან წარმ
ბით იასპარეზა საფრანგეთის
ჩემპიონატშიც (გოგონათა
რის), უიმბლდონში მისი მ
ვალი მეტოქე მსოფლიოს მე
ჩოგბურთელი არგენტინელი
რიელა საბატინი იქნება.

მოსკოველი სვეტლანა პარ
მენკო პუერტორიკოელ გიგი
რნანდესთან დამარცხდა —
6:3, 4:6, სამაგიეროდ
სავჩენკოსთან წყვილში
სელთა დუეტს ვალდა
კლერ ვუდ ჯობ 6:2, 6:0

„სპორტლოტო“

გუშინწინ მოსკოვში „სპორტლოტოს“ მორიგი, 26-ე
რაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-იდან: 3
ბსლეი), 10 (წყალბურთი),
(მშვილდოსნობა), 37 (აკრობატ
41 (მაგიდის ჩოგბურთი), 43
რიზმი).

„სპორტლოტო 5 36“-იდან:
(ბიატლონი), 18 (მძლეოსნობა)
(ტყვიის სროლა), 29 (სასტ
სროლა), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია.

ივნისი. დილის დაჭურვა — 8
(1); დილის ტანვარჯიში — 9
(2); ევროპის ჩემპიონატი აკრობ
ტიკაში — **15.15 (2);** რიტმუ
ტანვარჯიში — **19.45 (2);** უიმბ
დონის ტურნირი ჩოგბურთში
20.15 (2) და **0.40 (1).**

საქართველოს ტელევიზია.

ივნისი. 35-ე საფეხბურთო სკო
ში — **17.15.**

რედაქტორ
თ. გაჩეჩილაძ

საქართველოს სპორტსახკომ
ჭიდაობის რესპუბლიკური ფ
დერაცია და გაზეთ „ლელო
რედაქცია თანაუგრძნობენ ს
რტის დამსახურებულ ოსტ
რომან რურუას მამის

ვლადიმერ ზოსიმეს ძე რურუას

ვარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი:
ნერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
ნერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდ
ნოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტ
რი წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07